

სსიპ – აპოლონ ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია აცხადებს კონკურსს ასისტენტ პროფესორის (4 წლის ვადით), ასისტენტის (4 წლის ვადით) აკადემიური თანამდებობების დაკავების მსურველთათვის

მულტიმედია დიზაინი (შრიფტი, ორნამენტი, ფოტოგრაფია):

ასისტენტ პროფესორი (რეჟისურა და დრამატურგია) - 1 აკადემიური თანამდებობა

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

1. პირადი განცხადება რექტორის სახელზე
2. CV
3. პირადობის მოწმობის ასლი
4. ორი ფოტოსურათი (3/4)
5. შესაბამისი განათლების, სამუშაო სტაჟის, კვალიფიკაციისა და სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ნოტარიულად დამოწმებული ასლი
6. პორტფოლიო — მხატვრულ ნამუშევართა ალბომი ან სხვა სახის ვიზუალური მასალა ან/და ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კან-დიდატის აზრით, დასახელებულ დარგში მაქსიმალურად წარმოაჩენს მის პროფესიულ შესაძლებლობებს
7. ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი/სილაბუსები) კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) გათვალისწინებით.

ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:

- საერთაშორისო ან რესპუბლიკური კონკურსები
- გამოფენები, გამოქვეყნებული შრომები
- კინოფესტივალებში მონაწილეობა
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

ასისტენტ-პროფესორი უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროცესის წარმართვას
- მუშაობს სრული და ასოცირებული პროფესორის ხელმძღვანელობის ქვეშ
- ასრულებს სამუშაოს მათ მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით, ატარებს ლექციებს, ლექცია-პრაქტიკუმის კურსს
- ასრულებს სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ სამუშაოს (მონაწილეობას იღებს გამოფენების, სემინარების, ვორკშოპების, პროფესორთა მასტერკლასების ჩატარებისას) ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

მულტიმედია დიზაინი (შრიფტი, ორნამენტი, ფოტოგრაფია):

ასისტენტი - 1 აკადემიური თანამდებობა

ასისტენტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების

შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:

ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორი, დოქტორანტი ან მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი რომელსაც აქვს მედიახელოვნების ფაკულტეტის პრიორიტეტების შესაბამისი განათლება და პროფესიული გამოცდილება.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

- CV
- პორტფოლიო
- სამოტივაციო წერილი
- საერთაშორისო ან რესპუბლიკური კონკურსები
- გამოფენებსა და ფესტივალებში მონაწილეობა
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა
- სასურველია დარგის პროფესორის სარეკომენდაციო წერილი და შუამდგომლობა.

რეგისტრაცია 2 ოქტომბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით - თსსა კანცელარია
საბუთების განხილვა 10 ოქტომბერს